Омаз Чхеидзе. Расколотая вера. Холст, масло. 1988 г.

# ომაზ ჩხეიძე. "გახლეჩილი რწმენა".

ნახატის აღწერა დაწერილია ავტორის მიერ.

აქ წარმოდგენილი მაქვს ორი საქართველო: ქრისტიანული (მარჯვნივ) და მაჰმადიანური. მათ შორის უფსკრულია. მაჰმადიანი მესხი შუაში დგას, სახეზე დაბნეულობა ეტყობა, ვერ გაუგია სად არის მისი ადგილი.

ვარძიის დაცარიელებულ მიდამოებში გუგული (სომხის სახით) დინჯად დაფრინავს და მესხების მიტოვებულ ბუდეებში გვიდებს კვერცხებს.

იაშარ ბექაძე, მარატ ბარათაშვილი, ბადრი მეტონიძე, ჩახო ჩიტაძე და აბუზარ აბულაძე უკვე დგანან საქართველოს დროშის ქვეშ და მზად არიან სამშობლოს კეთილდღეობას ემსახურონ, ხოლო მათ შვილებს ხელში "დედა–ენა" უჭირავთ...

მარჯვნივ დავხატე მესხების საქმისათვის გულანთებული დიდი ქართველი მამულიშვილები: მემედ აბაშიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ჰეიდარ აბაშიძე, პავლე ინგოროყვა, შოთა ლომსაძე და სერგი ჯიქია.

ტილოს მარცხენა მხარეს წინა პლანზე დავხატე პროქართველ მესხთა სამი დიდი ლიდერი – ხალილ გოზალიშვილი, ლატიფშაჰ ბარათაშვილი და ახმედ თენაძე (მუხამედოვი), რომელთაც ოშკის მაკეტი უპყრიათ ხელთ და ამით გვეუბნებიან ქართული ხუროთმოძღვრების ეს შედევრი ჩვენი პაპების აგებულიაო.

უზბეკი მათ ეუბნება, ნუ მიგიწევთ გული საქართველოსკენ, იყავით აქ ამ სიმდიდრესა და ბარაქაშიო, მაგრამ მარცხნივ მოჩანს დათვის ტორი (თვითონ დამალულია), უზბეკს თოფს აწვდის დახოცეო. ტილოს აწერია დახატვის თარიღი 1988 წელი, ერთი წლის შემდეგ მოხდა ფერგანა...

მეორე პლანზე დგანან პროთურქული ორიენტაციის ეგზალტირებული მესხები, რომლებსაც იუსუფ სარვაროვი მოუწოდებს... მესხების ნაწილი ცდილობს ინდივიდუალურად დაბრუნდეს დედა სამშობლოში, მაგრამ ბოროტი დათვის მიერ ხიდი ჩატეხილია. მთებში წამოწოლილი დევი – თურქეთი ყველაფერს ყურადღებით აკვირდება, თან მონასტერს ახრამუნებს...

შუაში მდგარ მესხს ცალ მხარეს აცვია თურქული ხალათი და იღლიაში ამოდებული აქვს ყურანი, ხოლო მეორე მხარეს აცვია ქართული ჩოხა. ანუ იგი არის მაჰმადიანი ქართველი, რომელსაც დიდი ერისკაცი, ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი უჩვენებს საქართველოს ისტორიის წიგნს და ეუბნება ჩვენი ხარო...